საკანონმდებლო მაცნე

აპრილი 2023
[NO.4] www.bdo.ge

ცვლილება ბრძანებაში

შინაარსი

- გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის შევსების წესი
- მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი ფიზიკური პირისათვის საქართველოს რეზიდენტობის მინიჭება
- ტურისტული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრა

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის შევსების წესი

2023 წლის 28 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №108, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ცვლილება შეეხო აღნიშნული ბრძანების 38-ე მუხლს, რომელიც არეგულირებს გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის შევსების წესს. ცვლილების თანახმად, გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის ძირითადი ნაწილის სავალდებულო 68-ე და 69-ე გრაფები შეივსება განახლებული წესით:

- 68-ე უჯრაში უნდა ჩაიწეროს ანგარიშვალდებული პირების მიერ გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე ან/და სალაროში დაუბრუნებელი თანხები საანგარიშო თვის ბოლოსთვის. ცვლილებამდე აქ აისახებოდა თვის განმავლობაში საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების ჯამი
- ხოლო 69-ე უჯრაში აისახება 68-ე უჯრაში გათვალისწინებული ანგარიშვალდებული პირების რაოდენობა, ვისაც არ დაუბრუნებია თანხა ან არ წარუდგენია ანგარიში საქვეანგარიშოდ მიღებული თანხების შესახებ. ცვლილებამდე აღნიშნულ გრაფაში მოცემული იყო იმ პირების რაოდენობა, რომლებზეც საქვეანგარიშოდ გაიცა თანხები.

აღნიშნული გრაფების შევსება სავალდებულოა გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დასადეკლარირებლად და ცვლილება უკვე შეეხება მარტის თვის დეკლარაციას.

ცვლილება ძალაშია 2023 წლის 29 მარტიდან.

მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი ფიზიკური პირისათვის საქართველოს რეზიდენტობის მინიჭება

2023 წლის 2 მარტს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №60, რომლითაც განახლებული რედაქციით დამტკიცდა „მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი ფიზიკური პირისათვის საქართველოს რეზიდენტობის მინიჭების წესი“.
მოგეხსენებათ, მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი ფიზიკური პირი გახლავთ, ფიზიკური პირი, რომლის დადასტურებული ქონება აღემატება 3 მილიონ ლარს ან წლიური შემოსავალი განცხადების წარდგენამდე ბოლო 3 წლის განმავლობაში აღემატება 200,000 ლარს. ხოლო, ფიზიკურ პირს საქართველოს რეზიდენტობა ენიჭება იმ შემთხვევებში, თუ:

- ფიზიკური პირი მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი პირია, და აქვს ბინადრობის ნებართვა/ბინადრობის მოწმობა/საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა; ან
- ფიზიკური პირი მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილი პირია და ადასტურებს, რომ საქართველოში არსებული წყაროდან განცხადების წარდგენამდე ბოლო საგადასახადო წელს მიიღო არანაკლებ 25,000 ლარის შემოსავალი.

ორივე შემთხვევაში, ცვლილების შედეგად, აღნიშნულ წინაპირობებს დაემატა ახალი პირობა, რომლის თანახმადაც, ზემოთ ხსენებულ პირობებთან ერთად ფიზიკური პირი საქართველოში უნდა ფლობდეს არანაკლებ 500,000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ღირებულების ქონებას.

საქართველოს რეზიდენტობის მოსაპოვებლად ფიზიკურ პირს მხოლოდ პირადად შეეძლო განცხადებით მიემართა შემოსავლების სამსახურისთვის. ცვლილების შედეგად კი მას პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობითაც შეუძლია განახორციელოს მიმართვა. საქართველოს რეზიდენტობის მისანიჭებლად წარმოსადგენი დოკუმენტები კი დამატებით უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, რომლის თანახმადაც ფიზიკური პირი საქართველოში ფლობს არანაკლებ 500,000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ღირებულების ქონებას.

ცვლილება ძალაში შედის 2023 წლის 15 აპრილიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ცვლილებებს ბრძანებასა და საჯარო გადაწყვეტილებაში

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▸ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

საჯარო გადაწყვეტილება

ტურისტული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრა

2023 წლის 28 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბრძანება №107, საჯარო გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რომელიც ეხება ტურისტული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრას.

საჯარო გადაწყვეტილება განმარტავს:

- ტურისტული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრის საკითხს ტურისტის საქართველოში ორგანიზებულად შემოყვანისას
- ტურისტული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრის საკითხს ტურისტის საქართველოდან გაყვანისას
- საქართველოში ტურისტის ორგანიზებულად შემოყვანის და მისთვის ტურისტული პროდუქტის მიწოდების მიზნით შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე დღგ-ის ჩათვლის საკითხს.

მოცემული საჯარო გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ:

- დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულია ტურ-ოპერატორის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი ტურისტის ორგანიზებულად შემოყვანისას ტურისტისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული პროდუქტის მიწოდება (ტურისტულ პროდუქტში იგულისხმება, ტურისტული მომსახურების არანაკლებ 2 კომპონენტი, მათ შორის, სასტუმროში განთავსება, კვება, საქართველოში ტრანსფერი და სხვა) და მასთან დაკავშირებული დამხმარე მომსახურების გაწევა (მაგ. სამოგზაურო დაზღვევა და სხვა). მიუხედავად იმისა, რომ სადაზღვევო მომსახურება დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე თავისუფლდება, თუ ის გაიწევა საქართველოს ტერიტორიაზე ორგანიზებულად შემოყვანილი უცხოელი ტურისტისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული პროდუქტის მიწოდების ფარგლებში, მასზეც ვრცელდება ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლება
- საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანისას ტურისტული მომსახურების, როგორიც არის სასტუმროში განთავსება, კვება და სხვა, და მასთან დაკავშირებული დამხმარე მომსახურების გაწევა (მაგ. სავიზო მხარდაჭერა), დღგ-ის მიზნებისთვის განიხილება საქართველოს ფარგლების გარეთ გაწეულ მომსახურებად
- ასევე, ტურ-ოპერატორი უფლებამოსილია, მიიღოს დღგ-ის ჩათვლა, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით, საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი ტურისტის ორგანიზებული შემოყვანისა და მისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული პროდუქტის მიწოდების მიზნით შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე გადახდილ დღგ-ზე.

საჯარო გადაწყვეტილება ძალაშია 2023 წლის 29 მარტიდან.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში. ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.